№ 196. სექტემბრის 11, სამშაბათი. 1866—1884 სექტემბრის 11, სამშაბათი. № 196.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: [illegible] განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

ტფილისი

აზნაური სპირიდონ გიორგის-ძე ლეჟავა და მისი და ტერეზია გიორგის ასული გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართა თავის ძმის კოლსუსკის ასესორის თეიმურაზ გიორგის-ძე ლეჟავას გარდაცვალებას და მოიწვევენ მიცვალებულის გასასვენებლად სექტემბრის 13-ს დილის 12-ს საათზედ სოფ. ქვალითიდგან, სტან. ყვირილას მახლობლად, ცხრა-წყაროს საყდარში. (2—1)

თექვსმეტს ამ ენკენისთვეს არის დანიშნული

კრება გორის მაზრის მომხმარებელთა საზოგადოებისა

მოსასმენლად ამ საზოგადოების გამგეობის წევრების პასუხისა იმათ მოქმედების და ანგარიშთა გამსინჯველ კომისიის წევრების მოხსენებაზე, და ახალი გამგეობის და რჩევის წევრების ამოსარჩევად. (3—2)

## «ვეფხვის-ტყაოსანი» ფრანცუზულს ენაზედ.

ამას წინად იყო ჩვენს გაზეთში ნათქვამი, რომ გრაფს ბობრინსკის ფრანცუზულ ენაზედ «ვეფხვის-ტყაოსანი» პროზად გადაულიაო. ეს ახლად გადაღებული «ვეფხვის-ტყაოსანი» ამ დღეებში თავით-ბოლომდე მოვისმინეთ და დარწმუნებულნი ვართ, მეტი არ იქნება, რომ ჩვენი შთაბეჭდილება მკითხველსაც გავუზიაროთ.

გრაფმა ბობრინსკიმ მთელი «ვეფხვის ტყაოსანი» ფრანცუზულს ენაზედ ოთხის საათის განმავლობაში წაგვიკითხა. მარტო აქედამა სჩანს, რომ მომეტებული ნაწილი «ვეფხვის-ტყაოსნისა» გამოტოვებულია და მართლაც გრაფ ბობრინსკის გადაულია მხოლოდ შინაარსი „ვეფხვის-ტყაოსნისა“ და გადაულია ისე, რომ, თუ კაცმა არ იცის ეს პოემა, გრაფ ბობრინსკის შრომა სრული ქმნილება ეგონება. გრაფი ბობრინსკი იმ აზრისაა, რომ გენიალურ თხზულებას რუსთაველისას, როგორც ეკუთვნოდა, ისე მოწიწებით არ მოჰპყრობიან და ბევრს უნიჭო მწერალს მოუნდომია მისი გასწორება და შევსება. ამიტომაც გადამღებს გამოუტოვებია, ან ძალზე შეუმოკლებია ის ადგილები, რომელნიც იმის აზრით მასუკან დამახინჯებულნი არიან, მაგრამ, სამაგიეროდ, საუკეთესო ადგილები «ვეფხვის ტყაოსნისა» ისეთის სისრულით, სინამდვილით და პოეტურის ნიჭით არის გარდმოღებული, რომ მსმენელი უნებურს აღტაცებაში მოჰყავს. გრაფი ბობრინსკი შესანიშნავის პოეტურის ნიჭის პატრონი ყოფილა და ამიტომაც მისგან ფრანცუზულად შექმნილი „ვეფხვის ტყაოსანი“ მართლა რომ ისეთი ქმნილებაა, რომელიც იქნება ფრანცუზებ შორის იმ გვარივე „ხელი-ხელ საგოგმანები“ შეიქმნეს, როგორც ჩვენი «ვეფხვის-ტყაოსანი» რვენ შია.

ერთი რამ თვისება აქვს გრაფ ბობრინსკისაგან გადაღებულს „ვეფხვის-ტყაოსანს“, რომელიც შეიძლება დიდ ღირსებადაც ჩაითვალოს და დიდ ნაკლულევანებადაც: ზოგიერთა ალაგებში თვით გრაფ ბობრინსკის ჩაურთვია რამდენიმე აღწერილობა სურათებისა, რომელთაც სიტკბოებით ისმენ და მართლა რუსთაველის კალამის ნაწარმოები გგონია, მაგრამ ბოლოს გაკვირვებით ეკითხები შენს თავს: «რა ვქნა, ეს «ვეფხვის-ტყაოსანში» არ მახსოვსო“. მაგალითად, ნესტარ დარეჯნის ბაღის აღწერას უჭირავს ორი-სამი გვერდი და ისეთი აღწერაა; რომელსაც საუკეთესო მწერლები სიამოვნებით ხელს მოაწერენ, მაგრამ აღწერისათვის თვით დედანში რუსთაველს ოთხი-ხუთი სტრიქონის მეტი არ დაუთმია. ამას გარდა, ხელოვნურად აღუწერია გრაფ ბობრინსკის ინდოეთის მეფისა და ტარიელისაგან ნესტარ-დარეჯნისადმი მირთმეული ნანადირევი ღურაჯი, მაგრამ ამ აღწერისა თვით დედანს კვალიც არსად ატყვია.

ამ გვარს გადახვევას ქართული «ვეფხვის-ტყაოსნიდამ» გრაფი ბობრინსკი ასე ხსნის:

„მე ვეცადე ჩავკირვებოდი და შევგნო ეს დიდებული თხზულება,— ამბობს იგი,—ვეცადე მეც აღვფრთოვანებულიყავ იმ ძლიერი სულით, რომელიც უკვდავმა რუსთაველმა შთაბერა თავის ქმნილებაში და მასუკან განწმენდილი და განსპეტაკებული გადამეცა იგი ევროპისათვის.»

უნდა მართალი ვსთქვათ, რომ გრაფ ბობრინსკის ამ ეკლიანს ასპარეზზედ უქმად არ უშრომნია. ამ შრომაზედ ეტყობა, რომ „ვეფხვის-ტყაოსანი ისე შეუთვისებია მას, როგორც არა აქვთ შეთვისებული ზოგიერთ ქართველ ლიტერატორებსაც. მის შრომას შეუძლიან გააცნოს მთელს განათლებულს ევროპას ჩვენის პოეტის უკვდავი თხზულება, რომლისათვისაც ჩვენის საზოგადოებისაგან გრაფ ბობრინსკის გულწრფელი მადლობა ეკუთვნის; მაგრამ, ვგონებთ, ეს მადლობა მისთვის სრულიად მეტიც იყოს, რადგან ისე შეჰყვარებია მას რუსთაველის გამოჩენილი პოემა, რომ, უეჭველია, თვით იმის მშვენივრად გადაღებაში მიიღებდა იგი სრულს კმაყოფილებას.

## შინაური ქრონიკა.

== კახეთიდგან გვატყობინებენ: „თქვენს გაზეთში წავიკითხეთ, ვითომც უკვე შესდგომოდენ კახეთისკენ რკინის-გზის გამოყვანის თაედარიგს და ვითომც ინჟენერებიც გამოეგზავნოთ

«დროების» ფელეტონი, სექტ. 11-ს

## ერთი ადმინისტრატორი და მისი უსაფუძვლო პროექტი *)

«სოფლის სამოსამართლო წესის ნაკლულევანების» გამო, «დროება», №№ 185 და 186

(წერილი რედაქციისადმი.)

მინც ჩვენი სოფლის ცხოვრებას გონივრულად აკვირდება, იგი, უეჭველია, ადვილად შენიშნავდა სასოფლო სამართლის სხვა-და-სხვა ნაკლულევანებას. ეს ნაკლულევანებანი ორ-გვარის მიზეზისაგან წარმოსდგებიან. ერთი მიზეზი უნდა მოიძებნოს სასოფლო სამართლის წესში, მის ფორმალურს აგებულობაში, მეორე ცხოვრების საზოგადო მდგომარეობაში, ან ცხოვრების მიმართულებაში. თუმცა ეს ასეა, მაგრამ მაინც ხშირად შეხვდებით მწერლობაში ცალ-მხრივს მსჯელობას სასოფლო სამართალზე. თუ ერთნი უმთავრესს მიზეზს ამ სამართლის ნაკლულევანებისას ჰხედავენ სამართლის წესში, მეორენი მთლად ბრალს სდებენ საზოგადო ცხოვრების მდგომარეობას. როგორც ერთი, ისე მეორე შეხედულობა ვრცელი არ არის და სრულს ჭეშმარიტებას არ შეიცავს. ჩვენის აზრით, ეს სრული ჭეშმარიტება მკითხველმა უნდა ეძიოს ამ ორის შეხედულობის შეერთებაში, ესე იგი უნდა მიიღოს ერთიც და მეორე მიზეზიც. ეს ჩვენი შეხედულობა, რასაკვირველია, არ მოეწონებათ ბევრს და მეტადრე იმათ, რომელნიც აზრის სითამამეს, მის ძალას ჰპოვებენ უკიდურესს მიმართულებაში და წარმოუდგენიათ, რომ საზოგადოების ბედნიერება მთლად დამოკიდებულია ასეთის თუ ისეთის აზრის განხორციელებაზედ. ამ გვარნი მწერალნი, როგორც მოგეხსენებათ, მტერნი არიან «შუათანა მსჯელობისა», უწოდებენ მას სხვა-და-სხვა არა საქებარს სახელს და ხსნიან მას გონების სისუსტით. მაგრამ სინამდვილეკი ამ შუათანა მსჯელობის მხარეზედ არის. აი რისათვის, ვისაც კი ჰსურს სასოფლო სამართლის გონივრულად მოწყობა, იმან სამკურნალო წამალი სამართლის ფორმალური წესის შეცვლაში არ უნდა ჰპოვოს, საზოგადო მდგომარეობასაც უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება, წესი და ცხოვრება ერთად გასინჯოს, განიხილოს, ერთი ერთმანეთს შეუფარდოს.

ამ გზას ასცილებია ერთი ბატონი, რომელსაც ჰსურს უმაღლესს მთავრობას წარუდგინოს თვისი პროექტი შესახებ სოფლის სამოსამართლო წესის ნაკლულევანებისა და ამ წესის შეცვლისა. ამ პროექტმა გამოიწვია «დროებაში» ორი მოწინავე წერილი, სადაც ავტორი პროექტს თანაგრძნობით იხსენიებს. ეს ჩვენი წერილიც მეტი არ იქნება. სასოფლო სამართალი ისეთი ღირს-შესანიშნავი საგანია, რომ მასზე ლაპარაკი და ბაასი არ უნდა მოსწყინდეს ჩვენს საზოგადოებას.

ჩვენ არ ვიცით, ავტორმა რა ნაირი საბუთები, შესაწყნარებელი მოსაზრებანი წინ წაუძღოლა თავის პროექტს. «დროების» შინაურ ქრონიკაში დაბეჭდილია მხოლოდ პროექტის სქემა, ჩონჩხი და მის საბუთზედ კი ნათქვამი არა არის-რა. მაგრამ თუნდაც მარტო ეს სქემა გასინჯოთ, მაინც ადვილად შენიშნავთ, რომ პროექტის ავტორს თვისი ყურადღება მხოლოდ სამართლის წესზედ, მის ფორმალურ მხარეზედ მიუქცევია და გლეხ-კაცობის საზოგადო მდგომარეობა კი უყურადღებოდ დაუტოვებია. პროექტის ავტორს ეს შეცდომა ადვილად მიეტევება. როგორც მოგეხსენებათ, იგი უფრო ფორმალურს წესს აქცევს ყურადღებას, ცხოვრების გაუმჯობესობას ახალის პროექტისაგან მოელის. ამ ნაირის შეხედულობისა არიან სხვა მოხელეებიც. ქიდეც ამიტომ ასე გამრავლდა ჩვენს დროში პროექტების წერა და შედგენა... მაგრამ შეუწყნარებელი ცხოვრება ხშირად გვიჩვენებს, რომ კარგს პროექტსაც ვერ შეუძლიან საზოგადოების მდგომარეობის გაუმჯობესობა. რავდენი პროექტი დაუწერიათ, მაგრამ ცხოვრებას კი ბევრი არა მომატებია-რა! ხალხის ბედნიერება რომ პროექტზედ იყვეს დამოკიდებული,

*) ამ დიდ საყურადღებო წერილზედ დაუყოვნებლივ გავცემთ პასუხს პატივცემულ ავტორს.

რედ.

იმის გამოსაკვლევად, თუ საით უფრო მარჯვე და მოსახერხებელია ამ გზის ლიანდაგის გაყვანა.

თუმცა ამ ჟამად, როგორც თქვენც თითონ კარგად მოგეხსენებათ, კახეთის ერთ უმთავრესს დღიურს ვარამს შეადგენს ჯერ საზოგადოდ გზების უქონლობა და, რაცა გვაქვს, მათიც უსწორ-მასწორობა და ამისათვის, რასაკვირველია, ამ ამბავს კახელები ძალიან უნდა ესიამოვნებინა, მაგრამ, გასაკვირველად, ძრიელ გულ-გრილად მიიღეს ეს, მათთვის ყოველ დღე-დალამ სანატრელი და საზრუნველი ამბავი. მიზეზი ამ გვარი გულ-გრილობისა ის კი არავის ეგონოს, რომ კახელებს არ უნდოდეთ რკინის გზა, არ ესმოდეთ მისი საჭიროება, მისი სარგებლობა და დიდი მნიშვნელობა ცხოვრებაში; არა, — თითონ თქვენს გაზეთში არა ერთხელ ყოფილა გამოცხადებული მათი ნატვრა და სურვილი ამ საგნის შესახებ. ამისათვის ამ საგანზედ ლაპარაკი მეტი იქნება, და ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ნამდვილი მიზეზი ხსენებული ამბის გულ-გრილად მიღებისა არის ის გარემოება, რომ კახეთის მცხოვრებლებს იმედი არა აქვთ, არა სჯერათ, თუ მართლა ოდესმე განხორციელდება ეს აზრი, და არა სჯერათ იმიტომ, რომ ამისთანა რამ ბევრჯელა თქმულა, ბევრჯელ რასმე დაჰპირებიან, მაგრამ ძნელად თუ დანაპირები შესრულებიათ მათ. როდესაც გავრცელდა თქვენს გაზეთში დაბეჭდილი ამბავი რკინის-გზის გაკეთების თაობაზე, ყველამ ერთხმად გადასწყვიტა — „ტყუილია, ჭორიაო, — ჩვენ რკინის-გზას ვინ გვაღირსებს, როდესაც ჩვეულებრივი გზების გაკეთებაზედ არავინა ზრუნავსო“.

მართლაც აბა როგორ უნდა დავიჯეროთ, ბატონებო, რომ რკინის-გზით გაგვაბედნიეროს ვინმე, როდესაც ოცს წელიწადზე მეტი იქნება, რაც ბომბორის შარა-გზას აკეთებენ, მაგრამ აქნობამდის თელავიდამ ბოჭორმამდინ ძლივს გააკეთეს. რაც შეეხება დაპირებას ამ გზის გაკეთების თაობაზედ, ვგონებ, მკითხველო, იმოდენი თმა არა გქონდეთ თავზედ, რამოდენიც ჩვენ დაგვპირებიან, მაგრამ ამ დაპირებათ სულ «ჩაილურის წყალი» დაულევიათ. შარშანაც, თიბათვეში, თუ კათათვეში — სწორედ აღარ გვახსოვს — ერთიც დაგვპირდა — მერმის ამ დროს უთუოდ დასრულებული იქნება ეს ბედკრული გზა და პირველად მე გეწვევით ამ გზითაო; ამ დაპირებაზედ კი ჩვენც, ცოტა არ იყოს, იმედი მოგვეცა, ვიფიქრეთ — ეს ეს არის მოგვხედა ღმერთმა მოწყალის თვალითო, ბოლო მოეღო ჩვენს დაუსრულებელს ლოდინს და ახლა კი გვეღირსება პატარა რიგიანი გზაო, მაგრამ, ვაი თქვენს მტერს, როგორც ჩვენ არა გვეღირსარა, და, როგორც სჩანს, კიდევ ბევრი მერმისი ჩაივლის, ვიდრე ეს გზა ბოჭორმას გამოსცდებოდეს და, დაპირებისამებრ, ჩვენ „ტროიკით“ ვინმე გვეწვეოდეს ამ გზით. ზემოდ ვსთქვი — „გზა ბოჭორმამდინ გააკეთეს“-მეთქი, მაგრამ ვაი ამისთანა გაკეთებას, როგორც «ეს არის გაკეთებული»! განა გზაა ეს? ალაგ-ალაგ ისეა მოხუხულებული, ისე მითხრილ-მოთხრილი და ბოგირები მინგრეულ-მონგრეული, რომ უმეტესი ნაწილი მგზავრებისა რჩეობს ისევ ძველის გზით სიარულს, ვიდრე ამ ოცის წლის ნალევაწ-ნაშრომი გზით. ერთი სიტყვით — სწორედ რომ ვსთქვათ, რაც გაკეთებულია, იმასაც გზობა არ ეთქმის, იმასაც რიგიანი გზის ნიშან-წყალი არა აქვს; გზობა მხოლოდ იმაზედ ეტყობა, რომ რამდენსამე ალაგას გაკეთებულია ესრედ წოდებული «ზასტავა», სადაც თბილისში მომავალ მგზავრებს ბაჟს ახდევინებენ: ურემზედ, რომელშიაც ყევარი ხარი აბია, 1 მ. და 10 კაპ., (თუ ყევარზე მეტი ხარი იქნება, მეტს იღებენ) საპალნიან ცხენზედ 18 კაპ. უსაპალნოზედ 9 კ. ჩვენ არ გვესმის: გზა ქვეყნისთვის კეთდება, თუ ბაჟისთვისა?!... ჯერ გზა არსად არ არის და ბაჟს კი ვიხდით. რა უნდა ვქნათ, — ბაჟიც უნდა გადავიხადოთ და ძველს გზას მაინც ვერ ავცდეთ, სადაც ან ურმიან-ცხენიანად უნდა გადავიჩეხოთ სადმე და ან მულანლოელი თათრების მსხვერპლი შევიქნეთ, როგორც საბრალო სოფრომაძე — მღვდელი, რომელიც ზემო ნათქვამი მიზეზებისა გამო ძველ გზაზედ მოდენილა.

დასასრულ, სრულის გულით და სულით ვისურვებთ, რომ ჩვენი უიმედობა გამტყუნებულიყოს და ოდესმე გვღირსებოდეს, თუ რკინის გზა არა, ეს ბომბორის გზა მაინც.»

== «ნოვოე ობოზრენიის» № 238-ში დაბეჭდილია შემდეგი «წერილი რედაქტორთან»: «მ-ო ხ-ფვე, ბ. რედაქტორო! სექტემბრის 4 სამოსამართლო პალატაში განხილულ იქმნა სისხლის სამართლის საქმე, რომლის გამოც მსჯავრის წინაშე უნდა წამდგარიყვნენ ექვსი კაცი. ამ ექვსს კაცს აბრალებდენ გლეხის ჩატიაშვილის სახლზე ავაზაკებრივ თავს დასხმას. სამმა მათგანმა მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერელი, ამომირჩიეს დამცველად, იმ პირობით, რომ ნახევარი ჩემის შრომის ფასი საქმის გარჩევის წინ მოეცათ. ხოლო რადგან ჩემმა კლიენტებმა, არა თუ ნახევარი, [illegible] სრულიად არაფერი არ მომცეს და მომავალში კი ოქროს მთებსა მპირდებოდენ, მე არ გამოვცხადდი მათ დასაცველად. ამასობაში აღმოჩნდა, რომ ბრალდებულნი არწმუნებდენ პალატას, ვითომც ფული მომცეს და, მაშასადამე, მე ისინი მოვატყუე. მე არა მსურს, რომ პალატამ და სამსჯავროს დარბაზში მყოფმა ხალხმა ცუდი აზრი შეადგინოს ჩემ პატიოსნებაზე და ამისათვის გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფევ, მისცეთ ადგილი ამ ჩემს წერილს თქვენის გაზეთის ფურცლებზე. მე რომ კეთილ-სვინიდისიერად ვემზადებოდი დასაცველად, ამის დამტკიცება შეუძლიან სამოსამართლო პალატის კანცელარიას და, ვგონებ, არავის უფლება არა აქვს მისაყვედუროს იმისათვის, რომ მუქთად არ ვიცავ საქმეს, ხოლო ამ გვარს საყვედურს მე კიდეც მოვკარ ყური“.

დავშოთები და სხვ. დ. კეზელი.

== ჩვენის საცხენო რკინის გზის მმართველობას შემოუღია სააბონიმენტო ბილეთები 20% დათმობით. მსურველთ ურიგდებათ თითო წიგნი, რომელშიაც ოც-ოც-და-ათი ბილეთია და ჰღირს 1 მან. და 40 კაპ. ვორონცოვის ძეგლიდამ მუშტაიდამდე, ხოლო დანარჩენ გზებზედ 1 მან. და 20 კაპ. საბონიმენტო წიგნები ისყიდება სტანციის უფროსთან («ნოვოე ობოზრენიე»).

== ჩვენ დავათვალიერეთ ამ დღეებში ახალი საქალაქო სახლი და უნდა ვსთქვათ, რომ გარეგან სიმშვენიერეს შინაგანი მოწყობილობა სრულიად შეესაბამება. გარეგნობით, როგორც ვიცით, იგი წარმოადგენს დიდს და ვრცელს შენობას, აგებულს აღმოსავ-

---

გვერწმუნეთ, ავტორები კიდევ უფრო მრავალნი გამოჩნდებოდენ!..

რა არის ის პროექტი, რომელმაც უნდა მოსპოს „სოფლის სამოსამართლო წესის ნაკლულევანება“? ეს პროექტი გახლავთ ახალი წესის შემოღება. ამ წესით მთელი მაზრა განიყოფება რამდენიმე სოფლის საზოგადოებად და თითოში იქნება არა ნაკლებ ათასის კომლისა. ყოველი საზოგადოება ამოირჩევს ერთს მოსამართლეს, რომელიც შეიძლება გლეხთაგანიც არ იყოს და დაუნიშნავს ჯამაგირს. მოსამართლე ვალდებული იქნება საქმეები გაარჩიოს ყოველ დღე და არა უქმე-დღეობით, როგორც ეხლაა; ამას გარდა, მას შეეძლება საჩივრების მიღება თავის საზოგადოების წევრებზედ, თუნდ მოჩივარი სხვა საზოგადოებისაც იყოს». აი ამ პროექტმა უნდა გააბედნიეროს გლეხობა, სასოფლო სამართალი უნდა დააყენოს ჭეშმარიტს გზაზედ!.. მოდი და მუხლ-მოდრეკით თაყვანს ნუ ვსცემთ პროექტის ავტორს!..

როგორც მკითხველიც ჰხედავს, ეს პროექტი მეტად მარტივია, მაგრამ ახალს კი თითქმის არაფერს არ წარმოადგენს. ამ პროექტის მსაჯული და აწინდელი მომრიგებელი მოსამართლე ერთი და იგივე ფორმისა არიან, მხოლოდ იმ განსხვავებით (ეს განსხვავება მარტო ჩვენშია და არა რუსეთში), რომ მომრიგებელ მოსამართლეს მთავრობა ნიშნავს და სასოფლო მსაჯული კი საზოგადოებამ უნდა ამოირჩიოს. ავტორს, სჩანს, კოპიო გადმოუწერია და ისიც მოკლედ და შეცდომით. მოსახერხებელია ეს პროექტი და სარგებლობას მოუტანს იგი გლეხ-კაცობას, თუ არა? ამ დედა-კითხვის განსამარტებლად ჩვენ პროექტი ნაწილ-ნაწილად უნდა გავყოთ და ისე ვუჩვენოთ მკითხველს მისი უვარგისობა. ავტორს ჰგონია, რომ უმთავრესი ნაკლულევანება სასოფლო სამართლისა იქიდამ წარმოსდგება, რომ ეხლანდელი სოფლის საზოგადოება მეტად პატარაა და მოსამართლეები კი ბევრი ჰყავს. პატარა საზოგადოებას საკმაოდ ვერ უშოვნია პატიოსანი პირებიო. თუ საზოგადოებას გავადიდებთ, თუ თვითეულს საზოგადოებაში იქნება არა ნაკლებ ათასის კვამლისა და ერთს მოსამართლეს დავუნიშნავთ, მაშინ მოსამართლესაც კარგს ვიპოვითო. რა ღმერთი გაუწყრებათ, რომ ათას კვამლიანმა საზოგადოებამ ერთი კარგი და პატიოსანი კაცი ვერ იშოვოსო, — სწორედ ასე ზრახავს პროექტის ავტორი. ჯერ ერთი ესა, რომ აწინდელს პატარა საზოგადოებაშიც საკმაოდ მოიპოვებიან პატიოსანნი და სინიდისიანნი გლეხნი, რომელთაც ყოველთვის შეუძლიანთ აღსრულება მოსამართლის თანამდებობისა და თუ ეხლა მათ ვერა ვხედავთ ასპარეზზედ, ამის მიზეზი სულ სხვაა. სასოფლო სამართალმა, სამწუხაროდ, ნდობა დაჰკარგა საზოგადოებაში — ხეირიანს და სოფლის მოყვარულს გლეხს ხშირად ეთაკილება მოსამართლის ხელობა და თავის გუთანს ამჯობინებს მას. ასპარეზზე რჩებათ უფრო ჯაგლაგებს, გაიძვერაებს, რომელნიც მორჩილნი ყმანი არიან უფროსი მოხელეებისა და თავისუფლებას მოკლებულნი. საზოგადო ბიუროკრატიულმა ჰაერმა დაჰქროლა სასოფლო სამართალსაც, დააზიანა იგი, დააფთხო საუკეთესო წარმომადგენელები სოფლის საზოგადოებისა. ყველა სოფლის მოხელეს უშტიალებს, ყველა მისგან თხოულობს მორჩილებას, მონობას. რად წავა თავ-მომწონე და სინიდისიანი გლეხი სოფლის მოხელედ? რა ხეირს გამოელის იგი ამ მოხელეობიდამ? მაგრამ, ესეც რომ არ იყვეს, დიდი საზოგადოების დაარსება (არა ნაკლებ ათასის კვამლისა) ცხოვრების წინააღმდეგი იქნება, ამ ცხოვრების საჭიროებათ ვერ დააკმაყოფილებს. აწინდელი პატარა საზოგადოება თავის მოსამართლეებით გამოწვეულია სწორედ ამ საჭიროებათა გავლენით. რაც დრო და ჟამი გადის, თან-და-თან ვრცელდება და ფართოვდება ჩვენის გლეხ-კაცობის იურიდიული ურთი-ერთობა. ამას თან მოსდევს საქმეების გამრავლება; ერთი სასოფლო მოსამართლე დიდს საზოგადოებას ვერ გასწვდება და, ურიცხვი საქმეებით დატვირთული, სწორედ ისე მოიქცევა, როგორც ეხლა ხშირად იქცევიან მომრიგებელი მოსამართლენი, — ერთსა და იმავე საქმეს რავდენჯერმე გადასდებს, სამჯერ და ოთხჯერ იბარებს კაცს სამართალში უბრალო საქმისათვის. გლეხისათვის კი საჭიროა მსწრაფლად და დაუყონებლივ საქმის გარჩევა. როგორ და რა გზით მოახერხებს ამას დიდის საზოგადოების მოსამართლე, როდესაც ცხოვრება ისე დაბრუნდა, რომ მას დღითი-დღე დავი-დარაბა უმრავლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეთის გემოზე (მავრიტანული სტილი სპარსულის ყაიდის ზედ-დართვით). წინა-მხარე შემკულია სხვა-და-სხვა გვარი, ძალიან შნოიანი ჩუქურთმით და ორნამენტებით. ზედ ძველებურად დარჩენილია სადარაჯო ცეცხლის მქრობელთა კომანდისათვის. წინ დიდი საქალაქო საათი იქნება.

შიდა სივრცე შენობისა ორ ნაწილად არის გაყოფილი მეორე სართულში: ერთი ნახევარი საქალაქო გამგეობისათვისაც (საბჭო ოთახი, ქალაქის თავის კაბინეტი, შენობათა კომისიის დარბაზი, კანცელიარია, ბუხჰალტერია, კასსა, მისაღები ოთახი და სხვ.) ხოლო მეორე—ქალაქის პოლიციმეისტერის სადგურია, (როგორც ვიცით, ქალაქი ინახავს პოლიციას თავის ხარჯით და ვალდებულია სადგური მისცეს პოლიციის უფროსსაც). მაღლა სართულში ერთი ნახევარი ობოლთა სამსჯავროსათვის არის დანიშნული და მეორე ვაჭართა გამგეობისათვის. შუაში აშენებულია ვრცელი დარბაზი საბჭოს სხდომათათვის. დარბაზი წარმოადგენს დაქანებულს პოლს, რომლის უდაბლეს ალაგას იქნება ამაღლებული ქვარცხლ-ბეკი გამგეობისათვის, ხოლო გარეშემო გალერეიასავით შემორგვალებული ადგილი დანიშნული იქნება პუბლიკისათვის. ქვედა სართული მაღაზიებისათვის არის დანიშნული. მომეტებული მათი ნაწილი უკვე გაქირავებულია და გამგეობა ცამეტ ათასამდე მანათის შემოსავალს მოელის წელიწადში. სახლის აშენება სულ დამჯდარა ნასესხები ფულის სარგებელსაც რომ ზედ მივიდეთ, 200,000 მანათამდე.

---

## უცხოეთი.

**ეგვიპტე.** ვულვიჩიდგან წასულა ეგვიპტეში ერთი დაქირავებული სატრანსპორტო გემი, რომელსაც თან მიაქვს თურმე ოც-და-ათი პატარა გემი ნილოსის ექსპედიციისთვის და აგრეთვე დიდ-ძალი სანოვაგე. ამავე აზრით და დანიშნულებით ამ ცოტახანში ვულვიჩიდგანვე მიდის ეგვიპტეში ერთი სხვა სატრანსპორტო გემი და შემდეგ კიდევ სხვა გემებითაც აპირობენ თურმე წაღებას ესრედ-წოდებულთ «სანილოსო ნავთა».

ამავე დროს ლონდონში ტელეგრამა ტელეგრამაზედ მოსდით თურმე ქაირიდგან ნილოსის დაპატარავებაზედ. გაზ. «ტაიმსის» ალექსანდრიელი კორესპონდენტი იწერება, რომ ქაირის მცხოვრებლების ყველა წრეებში: სამხედროსა და სამოქალაქოში, ოფიციალურსა და არა ოფიციალურში ჰსუფევს გასაოცარი თანხმობა აზრებისა ხართუმის ექსპედიციის შესახებაო. სულ ყველას აზრი შეიძლება ასე გამოიხატოსო: ძალიან გვიანღა არის.

**ავსტრო-ვენგრია.** უკანასკნელს დღეებში კიდევ დაუტუსაღებიათ ვენაში რამდენიმე ანარხისტი; უკანასკნელთაც მონაწილობა ჰქონიათ იმ საიდუმლო სტამბაში, რომელიც ამას წინად პოლიციამ აღმოაჩინა.

**ოსმალეთი.** სტამბოლიდგან იწერებიან გაზეთებში, რომ იქ დღითი-დღე უფრო-და-უფრო საწუხარი ამბები მოდის იემენის მცხოვრებთა ამბოხების შესახებ, არაბეთიდამ. თუმცა მღელვარება ამ პროვინციის არე-მარეს არ გასცილებია და დიდს მანძილზე არ გასულა, მაგრამ მაინც კიდევ დღითი-დღე აშკარავდება თურმე, რომ ის ჯარი, რომელიც იქ არის დაყენებული არა კმარა ამბოხების მოსასპობლად. იწერებიან აგრეთვე, რომ, თუ სულთანის მმართებლობამ ენერგიული საშუალება არ იხმარა იემენში წესიერების აღსადგენად, ამბოხება მექქემდინ გავრცელდებაო. სხვა საშუალებათა შორის, რომელნიც პორტას მიულია ამ საქმის შესახებ, იმასაც ასახელებენ, ვითომც გარდაწყვეტილი ჰქონდეთ—იემენის და ჰეჯასის გარნიზონებს კიდევ 6000 კაცი მიუმატონ. თვით აჯანყების შესახებ ჯერჯერობით მარტო იმას იწერებიან, რომ აჯანყების მოთავედ ვილაც შერიფ-ედინია. ეს არაბი სტამბოლში პირველად შეცდომით ჰგონებიათ შეიხი იემენის მაზრის ერთის უძლიერესის თემისა, ნამდვილად კი ის ერთი უბრალო ავანტიურისტი ყოფილა; წინად სკოლის მასწავლებლად თურმე იყო ქ. სანში და იქ მცხოვრებლებში მსწავლულობის და სიწმინდის სახელი დავარდნია. მაგრამ ის არავითარი განსაკუთრებული სწავლის ქადაგებით არ იმხრობს ხალხს; მხოლოდ ცდილობს თურმე მთავრობისადმი უკმაყოფილება აღძრას ხალხში და უქადაგებს, რომ მმართებლობას წინააღმდეგობა გაუწიონ და არაფერში არ დაემორჩილონ.

---

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

სექტემბრის 7-ს

**კიევი.** წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტის ორმოცდაათი წლის იუბილეის დღესასწაულობა დაიწყო დღეს პანაშვიდით უნივერსიტეტის ეკლესიაში მოსახსენებლად განსვენებული იმპერატორებისა: ნიკოლოზ I-სა და ალექსანდრე II-სა, აგრეთვე განსვენებულ საპატიო წევრთა, პროფესორთა და სტუდენტთა მოსახსენებლად; შემდეგ მიტროპოლიტმა პლატონმა გადაიხადა დღესასწაულებრივი ლიტურგია, რომელზედაც დაესწრნენ საპატიო სტუმარნი, დეპუტაციები და წინანდელი სტუდენტები—სულ 250 კაცამდინ. აუდიტორიათა დათვალიერების შემდეგ საუზმე იყო, რომელზედაც დალიეს სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა, უნივერსიტეტის წარმატებისა და სხვა.

**პეტერბურგი.** იუსტიციის სამინისტრომ შეადგინა პროექტი საზოგადო ბრძანებისა (наказъ) სამსჯავროთათვის, რომელიც განმარტებს შინაგან წესს და საქმის წარმოებას. პროექტს კავშირი აქვს იმ ცვლილებებთან, რომელნიც უნდა მოხდენ სამოსამართლო უწყებაში მოსამსახურე პირთა ზედამხედველობისა და დისციპლინარული პასუხის-მგებლობის შესახებ; ოლქის სამსჯავროს თავმჯდომარის თანამდებობას უფრო დიდი მნიშვნელობა მიეცემა.

ყველა კრონშტადტში მომავალ იტალიურ და ესპანიურ გემებზე ორი კვირის სასტიკი ობსერვაციაა დაწესებული.

მალე დაიწყებენ ობის და ირტიშის ბასეინებში სახელმწიფო მიწების გაზომვას და დაჰყოფენ დასასახლებელ ნაწილებად. ამის შემდეგ, ჰფიქრობენ შეიმუშავონ წესები და რიგი გარდასახლებისა.

---

დება, სამოსამართლო საქმეები ემატება? მთავრობამაც მიაქცია ყურადღება ამ მოვლენას და თუ წინად ერთს მაზრაში იყო ერთი მომრიგებელი მოსამართლე, ეხლა ამავე მაზრაში სამი მოსამართლეა. რადა?—მადა, რომ როგორც სხვა წოდებას, ისე გლეხობასაც საქმეები გაუმრავლდა და თუმცა ამ გლეხობას თავისი საკუთარი მოსამართლეები ჰყავს, მაგრამ ისეთი საქმეებიც ბლომად გაუჩნდა, რომლებისთვის უეჭველად უნდა მიმართოს მომრიგებელ მოსამართლეს. და ამ საჭიროებისათვის ხომ ერთი მოსამართლე არა კმარა მაზრაში. თუ ცხოვრების სინამდვილე ამ სურათს წარმოადგენს, მაშ პროექტის ავტორს მალე დასჭირდება თავისი «არა-ნაკლებ ათასი კვამლიანი საზოგადოებისა» პატარ-პატარა საზოგადოებად დაყოფა, ე. ი. იმისვე მიღება, რასაც ეხლა უარ-ჰყოფს.

მეორე საფუძვლიანი მიზეზიც აქვს აწინდელს პატარა სოფლის საზოგადოებას. თვით ბუნება და ვითარება სასოფლო სამართლისა ჩვენში ითხოვს სწორედ ასეთს პატარა საზოგადოებას. სასოფლო სამართალი მარტივი უნდა იყვეს, ადათზე, ჩვეულებაზედ დაფუძნებული. მოსამართლემ, ხშირად უსწავლელმა და განუვითარებელმა, საქმე შინაურად უნდა იცოდეს, ასე ვსთქვათ, საქმე მის თვალ-წინ უნდა ხდებოდეს, მისი მოწამე თვით მოსამართლე უნდა იყვეს. მხოლოდ მაშინ შეიგნებს გლეხი—ვის როგორი სამართალი მისცეს. ეს ადვილად მოსახერხებელია, როდესაც მოსამართლეს პატარა საზოგადოება ებარება, რომელშიც იგი აღზდილა, რომლის მდგომარეობა მან კარგად იცის და რომლის მცხოვრებლების ავ-კარგიანობაში ჩახედებულია. დიდს საზოგადოებაში კი გლეხი-მოსამართლე სამართალს ვერ გაუძლევება, რადგანაც ფეხქვეშ არ ექნება ის ნიადაგი, რომელიც ასე საჭიროა სასოფლო მარტივის სამართლისათვის. დიდ საზოგადოების წინ-გაძღოლას უნდა დიდი გონება, სპეციალური ცოდნა და განვითარება. სწორედ ამ საფუძველზედ არის ამოყვანილი როგორც სხვაგან, ისე ჩვენში მოხელეების ამორჩევა და მათი თანამდებობა. მაგრამ ამ საფუძველს ხომ დაარღვევს დიდი სასოფლო საზოგადოება. მოსამართლე ამნაირის საზოგადოებისა მოკლებული იქნება საქმეების შინაურად ცოდნას, იძულებული გახდება ხშირად დაუტევოს ბუნებრივი სიმართლე და მიჰყვეს ფორმალურად საქმის განხილვას. ფორმალიზმი, რომელიც ეხლა ცოტათი ფეხს იდგამს სასოფლო სამართალში, აღმოფხვრის ადათს, ჩვეულებას, მარტივად საქმის წარმოებას, შესძენს ხალხს სხვა-და-სხვა „ხრიკების“ ცოდნას, უიმისოდაც ცოტათი შეჩვეულს, «აბლოკატების» წყალობით, უფრო შეაჩვევს «კლიაუზნიკობას» და სხვა ამ გვარ სიბრძნეს.

რომ ეს ფორმალიზმი მოუცილებელი შედეგი იქნება სასოფლო სამართლისა, თუკი პროექტი მიიღეს, ამას ახალის მოსამართლის საქმის წარმოება დაგვიმტკიცებს. როგორც ვუჩვენეთ, ეს მოსამართლე ეგვანება მომრიგებელ მოსამართლეს და მათ შორის, გარეგანის მხრით, დიდი განსხვავება არა იქნება-რა. დიდის საზოგადოების ახალს მოსამართლეს დასჭირდება ის, რაც ეხლა საჭიროა მომრიგებელი მოსამართლისათვის,—რთული კანცელარია თავისი მწერლებით და სხვა პატარა მოხელეებით. კანცელარიული საქმის წარმოება განსდევნის სიტყვიერს სამართალს, ნელ-ნელა მოისპობა მსწრაფლი გადაწყვეტა საქმისა, გახშირდება სასამართლოში წოწიალი, მწერლების და სხვა პატარა მოხელეების ხვეწნა-ვედრება...

ერთი სიკეთე აწინდელის სასოფლო სამართალისა ის არის, რომ იგი არა საჭიროებს კანცელარიულს საქმის წარმოებას. ჩვენის გლეხობისათვის ეს სიკეთე მით უფრო ძვირფასია, რომ ცხოვრებამ იგი არ შეაჩვია «კანცელიარიას», ღრმად ჩაუნერგა გულში სიყვარული მარტივის სამართლისა.

ეხლა გლეხი-მოსამართლე ისეთივე პირია, როგორც მისი მეზობლები და ფიქრადაც არ მოსდის თავის თავი ჩინოვნიკად წარმოიდგინოს; პროექტის გამო კი იგივე გლეხი-მოსამართლე თავისი კანცელიარიით და შტატით სულ სხვანაირი ქმნილება გახდება... დიაღ, პროექტი ჰპირდება გლეხებს ჩინოვნიკობას!..

(დასასრული ხვალ)

«ს.-პეტერბურგის უწყებანი» იწერებიან, რომ რუსეთისა და კორეის შორის სავაჭრო ხელ-შეკრულობა დაუდვიათ ჩვენის მმართებლობის ელჩს ვებერს და ტიანძინის ელჩს; ეს ხელ-შეკრულობა საშუალებას აძლევს ჩვენს მმართებლობას კორეიდამ ბლომად მუშების მოყვანისას უსურიის მხარეში მიწის შესამუშავებლად და ამგვარად ღონის-ძიება ეძლევა თავიდამ მოიცილოს ჩინელი გადმოსახლებულები, რომელნიც მტრულად უყურებენ რუსებს.

**სკერნევიცი.** გუშინ დილით ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა, დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე და ამალა წავიდნენ მალჩ-ივან-დომბროვსკის გზის სტანციაზე და აქედამ ეტლებით წავიდნენ ლიუბახენსკის ტყეში, სადაც რამდენიმე დღეს ნადირობაში გაატარებენ.

**კიევი.** დღეს უნივერსიტეტის საიუბილეო აქტზე წაიკითხეს უმაღლესი რესკრიპტი, რომელშიაც ხელმწიფე თავის კეთილ-სათნოებას უცხადებს უნივერსიტეტს; ამასთანავე წაიკითხეს სახალხო განათლების მინისტრის ტელეგრამა, რომლითაც იუწყება, რომ უმაღლესის ნება-დართვით უნივერსიტეტის კლინიკებს 265 ათასი მანეთი დაენიშნათ.

**კაირო.** გორდონმა აგვისტოს 24 და 30-ს დაამარცხა აჯანყებულები და განსდევნა ხართუმის გარეშემოდამ; ბევრი მომხრე ანებებს თავს მაჰდის და ჰმორჩილდება მტერს.

**გონგ-კონგი.** ჩინელებმა დაანგრიეს კანტონის პროვინციაში კათოლიკეთა სამლოცველოები; 6000 ქრისტიანი დარჩა უბინაოდ.

სექტემბრის 11

**პეტერბურგი.** ურიადნიკების საქმე ხელახლავ აღიძრა. ახლანდელის ურიადნიკების მაგივრად განძრახვა აქვთ დააწესონ პოლიციის კომანდები, რომელთაც უნდა შეადგენდენ სამსახურიდამ დათხოვნილი საუზურო მდაბალი ჩინები.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ბენარდაკის სამეხანიკო და რკინის სამუშაო ქარხანა გადავიდა უცხო-ქვეყნელების ხელში. ძირითადი თანხა ახალის კამპანიისა არის 500.000 გირვანქა სტერლინგი.

**რომი.** პაპა სწირავს ერთ მილიონ ლირას ხოლერით ავადმყოფებისათვის ლაზარეთის გასამართავად ვატიკანის ახლოს.

# ცნობანი

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა | 1 გირ. | 5 კ. | |
| აჯაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა | 1 გ. | $2^1/_2$ | |
| მეორისა | 1 გ. | 2 კ. | |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | 1 გ. | $4^1/_2$ | |
| მეორისა | 1 გ. | 3 კ. | |
| მესამისა | 1 გ. | $2^1/_2$ | |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 გ. | $4^1/_2$ | |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 გ. | $3^1/_2$ | |
| მესამისა | 1 გ. | 3 კ. | |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | 1 გ. | 7 კ. | |
| მეორისა | 1 გ. | 6 კ. | |
| სუკი | 1 გ. | 14 კ. | |
| ცხვრის ხორცი | 1 გ. | 7 კ. | |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | 1 გ. | — კ. | |
| მეორისა | 1 გ. | — კ. | |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დმ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(ხარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

# განცხადებანი


## ინგლისური რკინის კროვატები.



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებით, ფაფნოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, [illegible], სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის სადგმელები, უნაგირები კაცისა და ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიყები, ზარიადები, კაპსიულები, სათვალები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, ვამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—48)

საგლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები ყოველის «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლის საწმედად (ბორაკსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწველები, ნემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შხოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი კატერ-გლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—7)

## თბილისის ქალაქის გამგეობასა

სურს იქირავოს სადგური 6—8 ოთახამდე,

ორის სარდაფით (კლადოვაია), სამზარეულოთი, ორქვაბიანი ქურით და რუსული ფეჩით; უნდა იყოს აგრეთვე საჯინიბო სამის სული საქონლისათვის და ეზო სარაიით. ეს სადგური საჭიროა ერთის დაწესებულებისათვის; ფასი 750 მანათამდე წელიწადში. ვისაც ამისთანა სადგური აქვს, სთხოვენ მიმართოს გამგეობის კანცელიარიაში დილის 8 საათიდამ 1 საათამდე ყოველ დღე, გარდა კვირისა და უქმე დღეებისა. (3—1)

## ფოთიაქი

აივაზოვისა გადავიდა ერევნის მეიდანზე ქალაქის სახლში.

(10—10) არენდატორი მ. ალმურიევი.

## არწრუნისეულ ქარვასლაში

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—6)

## შენახვა ჩრჩილისა და ბუზანკალისაგან.

ნაფტალინი (კაფური) ჩრჩილის გამწყობი წყალი, სპარსული და დალმატიური პარაშოკი, გუტპერჩის ტომრები ბეწვეულობის და შალის ტანისამოსის შესანახავად. პომადა მეტალთა დასაფერავად, საუკეთესო ფრანცუზული ვაქსა, გლიანც-სახამებელი, ლილა და სხვანი საოჯახო ნივთეულობანი ისყიდებიან ტფილისში, სააფთიაქო საქონლების სავაჭრო კავკასიის ამხანაგობაში. (70—57)


Дов. ценз. Тифлисъ, 10 Сентября 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი